

# ბიზნესის განწყობის ინდექსი

## 7.4


შემცირება

**ჯიუტი  
პესიმიზმი!**

# I კვ 2019

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი მცირე და საშუალო




44



116

## კვლევის ძირითადი შედეგები



- 2019 წლის პირველ კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) გაუარესდა და 22.6 პუნქტამდე შემცირდა, რაც 7.4 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის მაჩვენებელს. ბიზნესის განწყობის ინდექსის შემცირება განპირობებულია როგორც მოლოდინების, ისე გასული სამი თვის განმავლობაში საქმიანობის გაუარესებით ბიზნესის მრავალ სექტორში. მშენებლობის სექტორებმა ყველაზე პესიმისტურად შეაფასა მიმდინარე საქმიანობა, მაშინ როცა მოლოდინები ამ სექტორში ყველაზე ოპტიმისტურია. მოლოდინების შემცირების მიუხედავად, ბიზნესის ყველა სექტორი ჯერ კიდევ ინარჩუნებს დადებით მოლოდინებს.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას ასახავს, 2019 წლის პირველ კვარტალში 3.6 პუნქტით არის შემცირებული.
- ბიზნესის ოპტიმიზმის ინდექსი მნიშვნელოვნად არის შემცირებული და 36.3 პუნქტს შეადგენს. ვაჭრობის სექტორთან ერთად, მომსახურების და სოფლის მეურნეობის სექტორებმა ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიზნეს სექტორის შემცირებულ ოპტიმიზმში. მშენებლობასა და საფინანსო სექტორში მოლოდინები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.
- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი მცირედით შემცირებულია. მომსახურების სექტორი შემდეგ კვარტალში ფასების მნიშვნელოვან შემცირებას მოელის, მაშინ როცა სხვა სექტორებში სავარაუდოა ფასების ზრდა.
- მოლოდინები და მიმდინარე მდგომარეობა გაუარესებულია დიდი ზომის კომპანიებისთვის, ხოლო გაზრდილია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის.
- როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის, საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორად მოთხოვნის სიმცირე სახელდება.

(\* ) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპოდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

# ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, წლიური ზრდა

მცირე და საშუალო



დიდი



კვ I/19 14.3  
ცვლილება -0.4

კვ I/19 23.7  
ცვლილება -9.0

სექტორი	კვ I/19	ცვლილება
მრეწველობა	0.4	▲ 38.6
მშენებლობა	24.7	▼ -0.1
ვაჭრობა	19.4	▼ -11.5
მომსახურება	26.7	▼ -24.0
სოფლის მეურნეობა	13.6	▼ -5.4
საფინანსო სექტორი	42.0	▲ 26.1
სხვა	8.0	▲ 3.9

დაბალი მოთხოვნა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ ბიზნესის საქმიანობის მთავარი შემზღუდველი ფაქტორებია. დიდი ზომის კომპანიების 27%-მა და მცირე და საშუალო ზომის კომპანიების 46%-მა მოთხოვნის სიმცირე დაასახელა ბიზნესის საქმიანობის მთავარ შემზღუდველ ფაქტორად. დიდი ზომის კომპანიების 18%-ისა და მცირე და საშუალო ზომის კომპანიების 39%-თვის კი ფინანსებზე ხელმისაწვდომობა არის საქმიანობის მთავარი შემზღუდველი ფაქტორი.

## ბიზნეს საქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები I კვარტალი, 2019 წელი

